საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
MINISTRY OF EDUCATION AND SCIENCE OF GEORGIA

MES 2 17 00902239

02/08/2017

**სოფელ ქსოვრისის საჯარო სკოლის ამორტიზებული შენობების დემონტაჟზე.**

მცხეთის საგანმანათლებლო რესურსცენტრს

საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროში შემოსული თქვენი 03/07/2017 წლის N772287 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო არ არის წინააღმდეგი, სსიპ მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ქსოვრისის საჯარო სკოლამ, სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს 27/07/2017წ. N877740 წერილის გათვალისწინებით, წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, ბალანსზე რიცხული ამორტიზებული შენობების ჩამოწერა და დემონტაჟი განახორციელოს სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს შიდა ქართლისა და მცხეთა-მთიანეთის მომსახურების ცენტრის თანხმობის შემთხვევაში, ადგილობრივი თვითმმართველობის ნებართვის საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2010წ. 22 მარტის N82 და 2010წ. 13 აგვისტოს N239 დადგენილებებით დამტკიცებული წესის შესაბამისად.

დემონტაჟი საჭიროა განხორციელდეს ,,მშენებლობის ნებართვის გაცემისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N57 დადგენილების შესაბამისად, უსაფრთხოების ნორმების დაცვით.

დამატებით გაცნობებთ, რომ სადემონტაჟო სამუშაოების სპეციფიკის გათვალისწინებით, შენობის დემონტაჟთან დაკავშირებული ყველა ეტაპი და საორგანიზაციო საკითხები უნდა შეთანხმდეს სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის სააგენტოსთან.

ამასთან, გაცნობებთ, რომ დემონტაჟის დასრულების შემდგომ, საჯარო სკოლამ უნდა განახორციელოს ცვლილებები რეგისტრირებულ მონაცემებში (ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, საკადასტრო გეგმა) და ცვლილებების ამსახველი დოკუმენტაცია წარმოადგინოს საქართველოს განათლებისა და მენიერების სამინისტროში, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ დემონტაჟის შემდგომ დაგეგმილია მშენებლობის პროცესი, ზემომოთხოვნილი ცვლილებები უნდა განხორციელდეს მშენებლობის პროცესის დასრულების შემდეგ და სამინისტროში წარმოდგენილ იქნას საჭირო დოკუმენტაცია.

0102 ქ.თბილისი, დიმიტრი უზნაძის ქ. 52
52 Dimitri Uznadze str. Tbilisi 0102, Georgia, www.mes.gov.ge
ტელ.:(+995 32) 2 200 220

ეკონომიკური დეპარტამენტი
დეპარტამენტის უფროსის მოადგილე
მამუკა ბერიძე

ადრესატები: **საქმისწარმოების სამმართველო ადმინისტრაცია**

KA021736931295617


სახელმწიფო ქონების
ეროვნული სააგენტო

NATIONAL AGENCY
OF STATE PROPERTY

ქ.გორი, სამეფოს ქ.50

Tel: (+995 32) 2 98 11 11

info@nasp.gov.ge


**N11/54224**

**18 / ოქტომბერი / 2017 წ.**

სსიპ - მცხეთის მუნიციპალიტეტის
სოფელ ქსოვრისის საჯარო სკოლას

სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს შიდა ქართლისა და მცხეთა-მთიანეთის მომსახურების ცენტრი შემოსული, თქვენი 12.10.2017წ. №MES 1 17 01250952 წერილის პასუხად, რომლითაც ითხოვთ სსიპ - მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ქსოვრისის საჯარო სკოლის ბალანსზე რიცხული ამორტიზებული შენობა-ნაგებობების (N04, 05 - შენობა, საკადასტრო კოდი N72.01.03.001) ჩამოწერისა და დემონტაჟის პროცედურების განხორციელებასთან დაკავშირებით თანხმობის გაცემას, გაცნობებთ, რომ სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო არ არის წინააღმდეგი ზემოაღნიშნული საკითხი განხორციელდეს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ჩამოწერა განხორციელდეს საქართველოს მთავრობის 2010 წლის 22 მარტის N82 და დემონტაჟი განხორციელდეს საქართველოს მთავრობის 2010 წლის 13 აგვისტოს N239 დადგენილებების შესაბამისად.

შიდა ქართლისა და მცხეთა-მთიანეთის
მომსახურების ცენტრის უფროსი

მამუკა ჩაჩანიძე

მცხეთის მუნიციპალიტეტის მერის

KA000013495969217

№ ს-921 25 / დეკემბერი / 2017 წ.

# ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

## მცხეთა, სოფ. ქსოვრისის ტერიტორიაზე, სახელმწიფოს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე #4 და #5 შენობების დემონტაჟისათვის საპროექტო დოკუმენტაციის შეთანხმებისა და დემონტაჟის ნებართვის გაცემის შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ საქართველოს ორგანული კანონის, 16-ე მუხლის, მე-2 პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის და 61-ე მუხლის, მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის; „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების; დადგენილების; მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფ. ქსოვრისის საჯარო სკოლის დირექტორის ლია ხაჩირაშვილის (პ/ნ 31001017820) წერილის (MES 4 17 01530666 13.12.2017წ.) და თანდართული დოკუმენტაციის (დემონტაჟის პროექტის ავტორი შპს „ნ და ლ“ დირექტორი ზ. ხარებაშვილი) საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ჩაითვალოს შეთანხმებულად მცხეთა, სოფ. ქსოვრისის ტერიტორიაზე, სახელმწიფოს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე №4 და №5 შენობების დემონტაჟისათვის საპროექტო დოკუმენტაცია და გაიცეს დემონტაჟის ნებართვა 2 (ორი) თვით.

**საკადასტრო კოდი - 72.01.03.001**

**მიწის ნაკვეთის ფართობი - 9160.00 მ$^2$**

**გაშენების ფართობი (შენობა №04, საქვაბე) – 39.44 მ$^2$**

**საერთო-სასარგებლო ფართობი (შენობა №04, საქვაბე) - 30.00 მ$^2$**

**გაშენების ფართობი (შენობა №05, საპირფარეშო) – 33.60 მ$^2$**

**საერთო-სასარგებლო ფართობი (შენობა №05, საპირფარეშო) - 27.00 მ$^2$**

2. ბრძანება ძალაშია გაცნობისთანავე.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონულ სასამართლოში გაცნობიდან 1 (ერთი) თვის ვადაში (მისამართი: ქ. მცხეთა, სამხედროს ქუჩა №17).

მცხეთის მუნიციპალიტეტის მერი გიორგი კაპანაძე